ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4072165

ნომერი: AR1566094

თარიღი : 21.12.2017

გაცემის თარიღი : 27.07.2018

გაცნობის თარიღი : 04.06.2020

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , კოსმონავტების სანაპირო N39;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ნარიმან ფირცხელიანი პ/ნ 12001052034
- თბილისი ჯავახეთის III შეს. N 5 ბ. 73

ორგანიზაცია:
- შპს გაზ ჯორჯია ჰოლდინგ კოდი: 406226579

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ობიექტები
  - გაზგასამართი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის

გაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2017 წლის 21 დეკემბრის AR1566094 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, კოსმონავტების სანაპიროს #39-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.13.05.004.189) გაზგასამართის განთავსების მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას. პასუხად გაცნობებთ შემდეგს:
საკითხი, ქ. თბილისი, კოსმონავტების სანაპიროს #39-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.13.05.004.189) გაზგასამართის განთავსებასთან დაკავშირებით განხილული იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ და საკითხი გადაგზავნილ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურში, რომლის პოზიციის თანახმად საწვავგასამართი სადგურისათვის დამატებითი ფუნქციის შემენით გაიზრდება სატრანსპორტო საშუალებების ინტენსივობა, რაც უარყოფითად აისახება და დამატებით შეფერხებებს გამოიწვევს მითითებულ ტერიტორიაზე. ავტოგასამართი სადგურიდან გამოსული მანქანა შეაფერხებს სანაპიროზე მოძრავ სატრანსპორტო ნაკადს. შესაბამისად ქ. თბილისისმუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურს მიზანშეუწონლად მიაჩნია საწვავგასამართი სადგურისათვის ფუნქციის დამატება.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის პასუხის თანახმად დასტურდება რომ საწვავგასამართი სადგურისათვის დამატებითი ფუნქციის შემენით შეფერხდება სატრანსპორტო მოძრაობა არქიტექტურის სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის თაობაზე.
დანართის სახით გიგზავნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის წერილს.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.